

პონსტანტინე (პოტე) მარჯანიშვილი

მე თუ არა, ვინ?
დღეს თუ არა, როდის?
კოტე მარჯანიშვილი

პარტერში მბჟუტავი შუქის ფონზე მუდმივად თუთუნის კვამლში გახვეული ჭალარა მამაკაცის სილუეტი. საფერფლე, რომელიც სავსეა ნახევრად ჩამწვარი და შუაზე გადატეხილი პაპიროსებით. ხმამაღალი შეძახილებით გაყრუებული თეატრის კედლები. მოცახცახე მსახიობები, მაგრამ ამაყნი, რადგან მათი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილია.

ქართული თეატრის ინოვატორი, რეჟისორი და დრამატურგი კოტე მარჯანიშვილი 1872 წლის 28 მაისს ყვარელში დაიბადა. მამა — ალექსანდრე სამხედრო პირი იყო, თუმცა ბედი მწერლობაშიც სცადა. დედა — ელისაბედ ჭავჭავაძე კი საქმაოდ განათლებული ქალბატონი გახლდათ. სწორედ მისი დამსახურებით პატარა კოტემ წერა-კითხვა ოჯახში შეისწავლა, ხოლო შემდგომი განათლება თბილისის პირველ გიმნაზიაში გააგრძელა, რომელიც 1891 წელს დაამთავრა.

რადგან პატარა კოტე ხელოვანი ნათესავების, წამყვანი რეჟისორებისა და მსახიობების — მაკო საფაროვა-აბაშიძისა, კოტე, დავით და ეფემია მესხების გარემოცვაში იზრდებოდა, თეატრისადმი ინტერესი ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა. სწავლის პერიოდში, 1886 წელს 14 წლის ასაკში სასკოლო წარმოდგენაში მიიღო მონაწილეობა და ამ საქმემ იმდენად გაიტაცა, რომ არდადეგების დროს ყვარელში ჩამოაყალიბა სცენისმოყვარეთა წრე, რომლის რეჟისორიც და ზოგჯერ მსახიობიც თავად გახლდათ.

1891 წელს კი კოტე უკვე თელავის „სცენისმოყვარეთა“ წრის მსახიობი გახდა. იგი თითქმის ყველა წარმოდგენებში წარმატებით მონაწილეობდა. თეატრალურ დასში მონაწილეობამ საბოლოოდ გადაწყვიტა მისი მომავალი და ცხოვრება პროფესიულ თეატრს სამუდამოდ დაუკავშირა.

1894 წელს კოტე მარჯანიშვილი პირველად გამოვიდა ქუთაისის პროფესიული თეატრის სცენაზე. სწორედ ამ დროს დასს მისი ნათესავი კოტე მესხი ხელმძღვანელობდა. დებიუტი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ ქუთაისის პროფესიული დასის მსახიობად მოგვევლინა, ხოლო თეატრის დაწვის შემდეგ, ტფილისში გადმოვიდა სამუშაოდ, სადაც პირველად გამოვიდა სცენაზე და შეასრულა პატარა კახის როლი აკაკი წერეთლის პიესაში „პატარა კახი“.

კოტე მარჯანიშვილი დედაქალაქში სეზონის დამთავრებამდე დარჩა.

1895 წელს ერთი წლით გაემგზავრა რუსეთის ქალაქ ნიკოლაევში, სადაც ერთი სეზონი მსახიობად იმუშავა, ხოლო სეზონის დასრულების შემდეგ კი დაბრუნდა ქუთაისში და ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის რეჟისორობით დადგმულ წარმოდგენებში მონაწილეობდა.

1897 წლის შემოდგომიდან კოტე მარჯანიშვილმა კვლავ დატოვა საქართველო და ქალაქ ვიატკაში 1901 წელს დადგა ანტონ ჩეხოვის „ძია ვანია“, ხოლო რიგის დრამატულ თეატრში კი განახორციელა მაქსიმ გორკის მეტად გახმაურებული სპექტაკლი „მოაგარაკენი“.

კოტე მარჯანიშვილს 1906-1909 წლებში სეზონურად იწვევდნენ ხარკოვის, კიევის, ოდესის თეატრებში. საუკეთესოდ დგამდა კლასიკურ და თანამედროვე პიესებს, რითაც მან ერთმნიშვნელოვნად მოიპოვა პერსპექტიული და ავტორიტეტული რეჟისორის სახელი. ხარკოვში დაარსა მსახიობთა უფლებების დამცველი საზოგადოებრივი კავშირი „ამხანაგობა“. 1909 წელს კი იგი უკვე მოსკოვში, კ. ნეზლობინის თეატრში რეჟისორად მიიწვიეს.

1910-1913 წლებში მოსკოვის სამხატვრო თეატრში კოტე მარჯანიშვილმა განახორციელა ორი სპექტაკლი – კუუტ ჰამსუნის „ცხოვრების ბრჭყალებში“ და ჰენრიკ იბსენის „პერ გიუნტი“. აქტიური მონანილეობა მიიღო ფიოდორ დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვებისა“ და ჰენრიკ კრეგის მიერ დადგმულ „ჰამლეტის“ (შექსპირი) სასცენო განხორციელებაში.

1913 წელს დააარსა მოსკოვის „თავისუფალი თეატრი“.

1914-1915 წლების სეზონზე კოტე მარჯანიშვილი სათავეში ჩაუდგა დონის როსტოვის თეატრს, ხოლო მომდევნო სეზონიდან კი ჰეტროგრადის „ბუფისა“ და მარიონეტების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა.

კოტე მარჯანიშვილმა 1919 წელს კიევში დადგა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“ და 1920 წელს კი ჰეტროგრადში დააარსა კომიური ოპერის თეატრი. ხელოვანი არ შემოიფარგლა მხოლოდ თეატრების დაარსებითა და ცალკეული სპექტაკლების დადგმით. მან სხვადასხვა ქალაქში დააარსა ლექტორიუმები და ახალგაზრდა თაობის გასანათლებლად, აქტიურად ეწეოდა აღმზრდელობით-საგანმანათლებლო საქმიანობას თეატრალური ხელოვნების დარგში.

1922 წელს მიღებული მდიდარი გამოცდილებითა და მოპოვებული ავტორიტეტით, დიდი რეჟისორი სამშობლოში დაბრუნდა და შ. რუსთაველის სახელობის თეატრში, ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს“ პირველივე დადგმით, საფუძველი ჩაიყარა ქართული თეატრის აღმავლობას.

1922-1926 წლებში შ. რუსთაველის სახელობის თეატრში კოტე მარჯანიშვილმა განახორციელა შემდეგი დადგმები – ზურაბ ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“, გიორგი ერისთავის „გაყრა“ (1923 წ.), მხეიოლ ქორელთან ერთად იმუშავა სპექტაკლებზე – უან-ბატისტ მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო“ (1924 წ.), უილიამ შექსპირის „უინდორელი ცელქი ქალები“, (1924 წ.) „ჰამლეტი“ (1925 წ.) და სხვა.

კოტე მარჯანიშვილმა 1928 წელს ქუთაისში დააარსა თეატრი, რომელიც 1930 წელს მთლიანი დასით თბილისში გადმოვიდა და დედაქალაქში გააგრძელა მოღვაწეობა. ამ თეატრის სცენაზე დიდმა რეჟისორმა 1929 წელს განახორციელა ერნსტ ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ჩცოცხლობთ“, ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“, ჯორჯ ბერნარდ შოუს „მმინდა ქალწული“, შალვა დადიანის „კაკალ გულში“, კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტა“ და პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“. 1930-1932 წლებში კი უკვე თბილის სცენაზე, გრიგოლ ბუხნიკაშვილის „კი მაგრამ“, პერსი ბიში შელის „ბეატრიჩე ჩენჩი“, იური ოლეშას „სამი ბლენდი“, კარლო კალაძის „სახლი მტკვრის პირას“, ალექსანდრ აფინოგენივის „შიში“, უილიამ შექსპირის „ოტელო“, ზურაბ ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“ და სხვა.

კოტე მარჯანიშვილმა, როგორც ფართო მასშტაბის რეჟისორმა, თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე დადგა დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (1923 წ.), რიხარდ ვაგნერის „ლოენგრინი“ (1924 წ.), ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ (1924 წ.), ჯოაკინო როსინის „ვილჰელმ ტელი“ (1931 წ.), ზაქარია ფალიაშვილის „დაისი“ (1923 წ.) და სხვა.

კოტე მარჯანიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული კინემატოგრაფიის განვითარებაშიც. რეჟისორს გადაღებული აქვს მხატვრული ფილმები: „ქარიშხლის წინ“ (1925 წ.), „სამანიშვილის დედინაცვალი“ (1926 წ.), „გოგი რატიანი“ (1927 წ.), „ამოკი“ (1928 წ.), „კრაზანა“ (1928 წ.) და „კომუნარის ჩიბუხი“ (1929 წ.).

კოტე მარჯანიშვილის სიცოცხლის ბოლო რამდენიმე წელი კვლავ მოსკოვთან არის დაკავშირებული. გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე მოსკოვში, ფიოდორ კორშის თეატრში დადგა ჰენრიკ იბსენის „მშენებელი სოლნესი“, ხოლო სიცოცხლის ბოლო წელს მცირე თეატრში განახორციელა ფრიდრიხ შილერის „დონ კარლოსი“, ხოლო ოპერის თეატრში კი იოპან შტრაუსის „ლამურა“.

კოტე მარჯანიშვილი 1933 წლის 17 აპრილს მოსკოვში გარდაიცვალა. მისი ფერფლი ქართველმა საზოგადოებამ დიდი პატივით 27 აპრილს ჩამოასვენა და სამუდამო სასუფეველი მთაწმინდის პანთეონში მიუჩინა.

კოტე მარჯანიშვილის უდიდესი დამსახურებაა რუსული თეატრალური კულტურის აღმავლობა, ხოლო 20-იანი წლების ქართული თეატრისთვის კი მან შექმნა ეპოქა, რომელიც დღემდე საქართველოს თეატრალური ცხოვრების დასაბამი და საწინდარია. ქართველმა ხალხმა მისი სახელი სამუდამოდ უკვ-

დავყო და თბილისისა და ყვარლის თეატრებს, ქუჩებს, მოედანსა და მეტროს სადგურს მისი სახელი მიანიჭა.

ყვარელში, მარჯანიშვილთა საგვარეულო სახლში გახსნილია კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმი, ხოლო თეატრალურ სფეროში მოღვაწეთათვის კი 1972 წელს დაწესდა კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია.

საქართველოს ხელოვნების სასახლის – კულტურის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტების ფონდში დაცული კოტე მარჯანიშვილის არქივი მართლაც რომ უნიკალურია, როგორც თემატურობით, ასევე მოცულობით. კოლექციაში თავმოყრილია საზოგადოებისთვის როგორც ნაცნობი, ასევე უცნობი ხელნაწერები. რეჟისორის მემუარებიც, რომელიც თითქოსდა ხელოვანთათვის ნაცნობია და უკვე რამდენჯერმე გამოიცა, ჯერ კიდევ კვლევის თემას წარმოადგენს. წერილები მეუღლისად-მი მართლაც რომ მათი დიდი სიყვარულის ანარეკლია. აქვეა ლექსები, რომლებიც დიდ რეჟისორს სხვა-დასხვა განცდამ დააწერინა, კალენდარული ჩანაწერებით კი საშუალება გვეძლევა მისი ყოველდღიური ყოფა, მარცხი თუ წარმატება მასთან ერთად გავიზიაროთ. არქივი გაჯერებულია ულევი ინფორმაციით, რომელიც როგორც კოტე მარჯანიშვილზე, ასევე იმ დროს მოღვაწე ცნობილ და უცნობ პიროვნებებზე გვაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას. კოლექციაში დაცულია დიდი რეჟისორის წინაპრებისა და მისი ოჯახის წევრთა ეპისტოლარული მემკვიდრეობა, კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობა სცენაზე ფეხის დადგმიდან, სიცოცხლის ბოლო წუთამდე. არქივში ასევე დაცულია მასალა, რომელიც ამ ეტაპისთვის ფართო საზოგადოებისთვის განსაზღვრული დროით დახურულია.

დაბოლოს, კოტე მარჯანიშვილის ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მა-სალის გაცნობა საინტერესო იქნება არა მარტო ხელოვანთათვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც.

კოტე მარჯანიშვილის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

პირადობის დამადასტურებელი საჭუთები

მანდატი, ციგნაკი

1. სახალხო კომისარიატის მიერ გაცემული მანდატი, კოტე მარჯანიშვილის მიერ მოსკოვისა და ლენინ-გრადის აკადემიურ თეატრებში მივლინებასთან დაკავშირებით.
1924 წ. 21 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
2. „წერა-კითხვის“ ცენტრალური კომიტეტის მიერ გაცემული კ. მარჯანიშვილის მოწმობის წიგნაკი.
1929-1930 წწ. სტამბური. ხელით შევსებული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

ავტოგრაფია, ანკეტა

3. კოტე მარჯანიშვილის გენეალოგიური შტო (ცხრილი).
უთარილო. ქსეროასლი. 6 ფ.
4. კ. მარჯანიშვილის ავტობიოგრაფია.
პირი: კოტე მესხი, ნინო ჩხეიძე, პეტრე ყიფიანი, აკაკი წერეთელი, ნატო გაბუნია, მაკო საფარო-ვა-აბაშიძისა, ბაბო ავალოვა (ავალიშვილი), კარგარეთელი, ვასო აბაშიძე, ლ. მესხი, კოტე ყიფიანი, ვალერიან გუნია, სვიმონ სვიმონიძე (გოგოლაშვილი), დავით აწყურელი (გამყრელიძე), ვასილი ჟივოკინი, ლადო მესხიშვილი.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი, მელანი. რუსულ ენაზე. 24 გვ.
5. კ. მარჯანიშვილის „მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი“.
უთარილო. სტამბური. 12 გვ. 2 ეგზ.
6. კ. მარჯანიშვილის ავტობიოგრაფია.
პირი: ალექსანდრე მარჯანიშვილი, ელისაბედ ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, ა. წულაძე, ნ. ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, ვასილ ჩერქეზიშვილი, ივანე მაჩაბელი, ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა-აბაშიძე, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, ლადო მესხიშვილი, სვიმონ სვიმონიძე (გოგოლაშვილი), გედევანოვი (გედევანიშვილი), შათირიშვილი, ვ. გამრეკელი, დავით აწყურელი (გამყრელიძე), აქვსენტი ცაგარელი, ლ. ხიმშიაშვილი.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 17 გვ.
7. კ. მარჯანიშვილის ავტობიოგრაფია.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
8. საანკეტო კითხვები. ჩამონერილი კ. მარჯანიშვილის მიერ.
უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 9 გვ.

გამოხმაურება

9. კოტე მარჯანიშვილის გამოხმაურება ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერისთვის“ (რე-ჟისორი – აკაკი ფალავა), მაკეტების მაღალ დონეზე შესრულებასთან დაკავშირებით.
1929 წ. 28 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

პრძანებები

10. კოტე მარჯანიშვილის მიერ გაცემული ბრძანება, მისი ხელმძღვანელობით არსებული დასის წევრების-თვის კინოში მუშაობის აკრძალვასთან დაკავშირებით.
1933 წ. 8 ინვარი. ნაბეჭდი. 3 გვ. 3 ეგზ.
11. საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ გაცემული ბრძანება, კ. მარჯანიშვილის 75 წლისთავთან დაკავშირებით ძეგლის აგების, მისი სახელობის პრემიისა და სტიპენდიის დაწესების შესახებ.
1947 წ. 28 მაისი. ნაბეჭდი. 1 გვ.
12. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის როსტომ შადურის მიერ გაცემული ბრძანება, სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის დირექტორის გრიგოლ ბუხნიკაშვილისადმი, კ. მარჯანიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავთან დაკავშირებით, მუზეუმი დაცული მასალების შეგროვების შესახებ.
1947 წ. 18 ივლისი. ნაბეჭდი. 1 გვ.
13. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ გაცემული ბრძანება თეატრალური მუზეუმის დირექტორ გრიგოლ ბუხნიკაშვილისადმი, კ. მარჯანიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავთან დაკავშირებით, აფიშების, პროგრამების, ფოტოსურათებისა და მოხსენებების მოძიებასა და შეგროვებასთან დაკავშირებით.
1947 წ. 18 ივლისი. ნაბეჭდი. 1 გვ.
14. საქართველოს კულტურის მინისტრის აკაკი დვალიშვილის მიერ გაცემული მადლობის ბრძანება თეატრალური მუზეუმის კოლექტივისადმი, კ. მარჯანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენის წარმატებით გამართვასთან დაკავშირებით.
პირი: გრიგოლ ბუხნიკაშვილი, პ. ალვარიძე, ლედი კაპანაძე, ქეთო ჩხიკვაძე, ტ. იაშვილი, ნათელა ლაშვია, მ. გაჩეჩილაძე, ნ. ელიაშვილი, ლ. ლორთქიფანიძე, ლ. გაბრაძე, შ. ქუთათელაძე, მ. თუშმალიშვილი, ნ. კანდელაკი, გ. კიკაძე, მ. პრაშკერი, ბ. ანთაძე.
1962 წ. 31 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 2 გვ.
15. საქართველოს კულტურის მინისტრ ითარ თაქთაქიშვილის მიერ გაცემული ბრძანება, კ. მარჯანიშვილის 100 წლის იუბილეს მომწყობი კომისიის საორგანიზაციო ჯგუფის დამტკიცებასთან დაკავშირებით.
1972 წ. 28 მარტი. ნაბეჭდი. 1 გვ.
16. კოტე მარჯანიშვილის მიერ გაცემული ბრძანება ქუთაისი-ბათუმის სახელმწიფო დრამის მსახიობებისადმი, კერძოდ გამართულ სპექტაკლებში მონაწილეობის მიღების აკრძალვის შესახებ.
უთარილო. ნაბეჭდი. 4 გვ. 4 ეგზ.

დადგენილება

17. საქართველოს მთავრობის დადგენილება, კოტე მარჯანიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავის აღსანიშნავი პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ.
1947 წ. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელაზი. 15 გვ.

ცნობები

18. თბილისის II სახელმწიფო კონსერვატორიის დირექციის მიერ გაცემული ცნობა, მაესტრო ვაგისა და კ. მარჯანიშვილის ოპერის კლასის თანამშრომლების შტატში ჩასმასთან დაკავშირებით.
1923 წ. 17 იანვარი. ნაბეჭდი. ხელს ანერენ: დირექტორი – დიმიტრი არაყიშვილი, ინსპექტორი – ილ. აბაშიძე, საქმეთა მმართველი – ქ. მაჩაბელი. 1 გვ.
19. სრულიად საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფესიურის ცენტრალური კომიტეტის გამგეობის მიერ გაცემული ცნობა, კ. მარჯანიშვილისთვის რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.
1929 წ. 15 მაისი. ნაბეჭდი. ხელს ანერენ: ლ. შესტოვი, გაჩერილაძე. 1 გვ.
20. კ. მარჯანიშვილის მიერ გაცემული ცნობა კარლო კალაძის მიერ 500 მანეთის მიღების შესახებ.
1930 წ. 9 აპრილი. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
21. საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მიერ გაცემული ცნობა, კ. მარჯანიშვილის 90 წლისთავის საიუბილეო კომისიის დამტკიცების შესახებ.
1962 წ. 19-28 ივნისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
22. კ. მარჯანიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებათა მიმდინარეობის ამსახველი ცნობა.
1971 წ. ნაბეჭდი. 3 გვ.
23. კ. მარჯანიშვილის მიერ გაცემული ცნობა 14-კაციანი ორკესტრისთვის ზესტაფონიდან ქუთაისამდე სამგზავრო თანხის გაცემასთან დაკავშირებით.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
24. კ. მარჯანიშვილის მიერ გაცემული ცნობა, ხათუნა ჭიჭინაძისადმი 150 მანეთის მიცემასთან დაკავშირებით.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. 1 გვ.
25. კ. მარჯანიშვილის მიერ გაცემული ცნობა უცნობი პირისადმი, გრიგოლ ჩარკვიანისთვის თანხის გადახდის შესახებ.
პირი: შ. ჩხეიძე.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

მიმართვები

26. კოტე მარჯანიშვილის მიმართვა სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექციისადმი, განათლების მინისტრის ნინადადებით, ქართულ დრამატულ თეატრში რეჟისორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.
1922 წ. 9 დეკემბერი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
27. კ. მარჯანიშვილის მიმართვა – „მწერალთა და ხელოვანთა განცხადებანი და დეკლარაციები. მსახიობთ, მწერლებს, პოეტებს, მხატვრებს, მოქანდაკეთ და მუსიკოსთ!“
1924 წ. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.
28. კ. მარჯანიშვილის მიმართვა დასის წევრებისადმი, მისი არყოფნის დროს, არჩეული ხელმძღვანელის კოლეგიისთვის გადაცემის შესახებ.
პირი: ალექსანდრე იმედაშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, უშანგი ჩხეიძე, თამარ ჭავჭავაძე, ალექსანდრე ჟორჟოლიანი.
1928 წ. 1 ოქტომბერი. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.

29. კ. მარჯანიშვილის მიმართვა დოდო ანთაძისადმი, მისი არყოფნის შემთხვევაში, გენერალურ მინდობილობასთან დაკავშირებით.
1929 წ. 29 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. დამტკიცებული ნოტარიუსის მიერ. 3 გვ.
30. კ. მარჯანიშვილის მიმართვა თეატრის დასისადმი, მოსკოვში გამგზავრების პერიოდში, მისი უფლებების დოდო ანთაძისთვის დროებით გადაცემასთან დაკავშირებით.
1930 წ. 18 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
31. კ. მარჯანიშვილის მიმართვა თეატრის დასისადმი, მოსკოვში გამგზავრების პერიოდში, მისი უფლებების დოდო ანთაძისადმი დროებით. გადაცემასთან დაკავშირებით.
1931 წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. მელანი. ხელს აწერს – კ. მარჯანიშვილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
32. კ. მარჯანიშვილის მიმართვა თეატრის დასისადმი, მოსკოვში გამგზავრების პერიოდში, მისი უფლებების დოდო ანთაძისადმი დროებით გადაცემასთან დაკავშირებით.
1931 წ. 27 იანვარი. ნაბეჭდი. ხელს აწერს – კ. მარჯანიშვილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
33. კ. მარჯანიშვილის მიმართვა თეატრის დასისადმი, მოსკოვში გამგზავრებასთან დაკავშირებით.
პირი: ნოდია, დოდო ანთაძე.
1931 წ. 31 იანვარი. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. ხელს აწერს – კ. მარჯანიშვილი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
34. კ. მარჯანიშვილის მიმართვა დასისადმი, მოადგილეებად უშანგი ჩხეიძისა და დოდო ანთაძის დანიშნასთან დაკავშირებით.
1931 წ. 12 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
35. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის – დავით ანდლულაძის მიმართვა გრიგოლ ბუხნიკაშვილისადმი, კ. მარჯანიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე, თეატრის კოლექტივთან წაკითხული მოხსენების შესახებ.
1947 წ. 28 მარტი. ნაბეჭდი. ხელს აწერს – დ. ანდლულაძე. 1 გვ.
36. თბილისის სახელმწიფო სომხური თეატრის დირექტივის მიმართვა ხელოვნების საქმეთა სამმართველოსადმი, კ. მარჯანიშვილის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს მოწყობასთან დაკავშირებით.
1947 წ. 5 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
37. მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის დირექტორ ვაისერმანის მიმართვა მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების სამმართველოსადმი, თეატრში გამართული კოტე მარჯანიშვილის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოსთან დაკავშირებით.
1947 წ. 6 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
38. ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის დირექტორის დოდო ანთაძის მიმართვა ხელოვნების საქმეთა სამმართველოსადმი, ამავე თეატრში კ. მარჯანიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს მოწყობის შესახებ.
1947 წ. 15 ივნისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს თეატრის დირექტორი – დოდო ანთაძე. 1 გვ.
39. საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის – შალვა დადიანის მიმართვა გრიგოლ ბუხნიკაშვილისადმი, კ. მარჯანიშვილის შემოქმედებასთან დაკავშირებით, ნადეჟდა უივოკინი-მარჯანიშვილის მოხსენების გაგზავნასთან დაკავშირებით.
1950 წ. 20 დეკემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: საქართველოს თატრალური საზოგადოების თავმჯდომარე – შალვა დადიანი, პასუხისმგებელი მდიგანი – ს. მთვარაძე. 1 გვ.

40. საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიმართვა „თეატრალური კალენდრის“ გამომცემელი „ხელოვნების“ რედაქციისადმი, კ. მარჯანიშვილის 100 წლის საიუბილეოდ მასალების მიწოდების შესახებ.
1970 წ. 26 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენზე. 1 გვ.
41. საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს მუზეუმის სწავლული მდივნის ნათელა ლაშხიას მიმართვა ამავე მუზეუმის დირექტორ გრიგოლ ბუხნიკაშვილისადმი, კ. მარჯანიშვილის დაბადებიდან 100 წლისთვისადმი კიევში გამართული გამოფენის აღწერისთვის ლიდია ნოვოსელიცკაიასადმი ჰონორარის (20 მან.) გამოყოფასთან დაკავშირებით.
1973 წ. 16 მაისი. ნაბეჭდი. 1 გვ.
42. კ. მარჯანიშვილის მიმართვა შ. რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივისადმი, სპექტაკლ „ინტერესთა თამაშის“ გამართვასთან დაკავშირებით.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. რესტავრირებული. 2 გვ.
43. კ. მარჯანიშვილის მიმართვა დასის წევრებისადმი.
უთარილო. ხელნაწერი. წითელი ფანქარი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
44. კ. მარჯანიშვილის მიმართვა დასის წევრებისადმი, ვერიკო ანჯაფარიძესთან მომხდარი გაუგებრობის შესახებ.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

შეტყობინებები

45. სახალხო განათლების კომისარიატის შეტყობინება კოტე მარჯანიშვილისადმი, თბილისის ქართული დრამატული თეატრების მთავარ რეჟისორად დანიშვნასა და ლუნაჩარსკისთან საქართველოში დაბრუნების შუამდგომლობის შესახებ.
1922 წ. 26 სექტემბერი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
46. გრიგოლ ბუხნიკაშვილისა და დოდო ანთაძის შეტყობინება კავშირგაბმულობის მინისტრისადმი, კ. მარჯანიშვილის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, საფოსტო მარკის კ. მარჯანიშვილის პორტრეტით გამოცემასთან დაკავშირებით.
1970 წ. 26 იანვარი. ნაბეჭდი. 1 გვ.
47. მთავარი სახელოვნო კომიტეტის მდივნის შეტყობინება ევლახიშვილისადმი, მთავარი სახალხო კომიტეტის სხდომაზე კ. მარჯანიშვილის მოხსენებით გამოსვლასთან დაკავშირებით.
წელი უცნობია, 9, 11 სექტემბერი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

შუამდგომლობა

48. სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექციის შუამდგომლობა განათლების სახალხო კომისართან, კოტე მარჯანიშვილის მიერ სესხად აღებული ჯამაგირის (1500 მან.) ჩამონერის შესახებ. დადებითი რეზოლუციით.
1924 წ. ნაბეჭდი. ხელნაწერი. წითელი ფანქარი და მელანი. 1 გვ.

თხოვნა

49. ალ. გრიბოედოვის სახელობის თეატრის დირექტორის მ. რუსლანოვის თხოვნა, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს განყოფილების გამგის გრ. ბუხნიკაშვილისადმი, კ. მარჯანიშვილის 75 წლისთავის აღსანიშნავი საღამოს თარიღის დანიშვნის შესახებ.

1947 წ. 7 მაისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: თეატრის დირექტორი – მ. რუსლანოვი, სამხატვრო ხელ-მძღვანელი – ალექსანდრე თაყაიშვილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

მინდობილობა

50. კოტე მარჯანიშვილის მინდობილობა დოდო ანთაძისადმი, მის ნაცვლად თეატრის საორგანიზაციო საკითხების წარმოების შესახებ.
1929 წ. 15 ივნისის. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. ბეჭედდასმული. 1 გვ.

განცხადებები

51. დავით ჩხეიძის განცხადება სახალხო განათლების კომისარისადმი, კოტე მარჯანიშვილის ხელფასის მომატების შესახებ.
1923 წ. 15 მარტი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
52. კ. მარჯანიშვილის განცხადება განათლების სახალხო კომისარიატისადმი, თეატრის ქუთაისიდან თბილისში სამუშაოდ გადმოსვლის აუცილებლობასთან დაკავშირებით.
1930 წ. 27 მაისი. ნაბეჭდი. 2 გვ.

ოქმები

53. ამონანერი მთავარი სახლოვნო კომიტეტის თათბირის ოქმიდან. კოტე მარჯანიშვილის სიტყვა ქართული სახელმწიფო თეატრების შესახებ.
1922 წ. 13 ნოემბერი. ნაბეჭდი. ფოტოასლი. 1 გვ.
54. განათლების კომისარის კაბინეტში შემდგარი მთავარი სახელოვნო კომიტეტის სხდომის ოქმი, ქართული სახელმწიფო თეატრის მდგომარეობის შესახებ. სხდომას ესწრებოდნენ საგანგებოდ მოწვეულები:
კ. მარჯანიშვილი, არჩილ მიქაელი, ილია ზურაბიშვილი, ლ. სვიმონიშვილი, ა. ჭუმბაძე, კ. ფოცხვერაშვილი, ს. ახვლედიანი, ა. მიქაბერიძე; სტუმრების სახით ესწრებოდნენ: მელიტონ ბალანჩივაძე, დიმიტრი შევარდნაძე, ს. აბაშელი, კ. მაყაშვილი, ტიციან ტაბიძე, კილოსანიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, ვ. ჯიქია, ალექსანდრე უორულიანი, მიხეილ ქორელი, აკაკი ფალავა, ალექსანდრე ახმეტელი, ალექსანდრე ნუნუავა, მამულაიშვილი, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, ს. ხუნდაძე, ჯაფარაშვილი, აღლაძე, იოსებ გრიშაშვილი, გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, რ. კალაძე.
1922 წ. 13 ნოემბერი. ნაბეჭდი. 8 გვ.
55. განათლების კომისარიატთან არსებული მთავარი სახელოვნებო კომიტეტის თათბირის ოქმი, ქართული თეატრის განახლების შესახებ. გამომსვლელი – კ. მარჯანიშვილი.
1922 წ. 13 ნოემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.
56. კ. მარჯანიშვილისა და ალ. ახმეტელის განცხადებების განხილვის ოქმი (1926 წ. 5 აგვისტო), შ. რუს-თაველის სახელობის თეატრში, თეატრალური მუშაობის რეორგანიზაციის შესახებ.
პირი: ლევან ლოლობერიძე, შაქრო (ზაქრო) ბერიშვილი, პლატონ კორიშელი.
1926 წ. ავტოგრაფი. ფანქარი. ხელს აწერენ: კოტე მარჯანიშვილი, ალექსანდრე ახმეტელი, შ. ბერიშვილი, პლატონ კორიშელი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
57. ქუთაის-ბათუმის ქართული თეატრის კოლექტივის პროფაქტივის გაფართოებული სხდომის ოქმი, კ. მარჯანიშვილისთვის რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.
პირი: შალვა ღამბაშიძე, ბ. მჭედლიშვილი, დოლონაძე, შ. ჩხეიძე, უშანგი ჩხეიძე, იუზა ზარდალიშვილი, შალვა ხონელი, ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე, დოდო ანთაძე, დ. ცნობილაძე.

- 1929 წ. 14 მაისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. ხელს აწერენ: თავმჯდომარე – შალვა ლამბაშიძე, მდინარი – დ. ცნობილაძე. 3 გვ.
58. საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფესიულის ცენტრალური კომიტეტის გამგეობის სხდომის ოქმი, კ. მარჯანიშვილისა სახალხო და ვალერიან გუნიას დამსახურებული არტისტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.
1929 წ. 14 მაისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: შესტოვი, გაჩეჩილაძე. 1 გვ.
59. საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, თბილისის მეორე სახელმწიფო დრამის თეატრისთვის სახალხო არტისტის კ. მარჯანიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.
1933 წ. 3 მაისი. ნაბეჭდი. ფოტოასლი. 1 გვ.
60. საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, თბილისში არსებული ბელგიის ქუჩისთვის კ. მარჯანიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.
1936 წ. 15 მარტი. ნაბეჭდი. ფოტოასლი. 1 გვ.
61. რეჟისორ კ. მარჯანიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო კომისიის სხდომის ოქმი. კომისიის წევრები: როსტომ შადური, დავით ანდლულაძე, დიმიტრი არაყიშვილი, გიორგი ახვლედიანი, აკაკი ვასაძე, შალვა ლამბაშიძე, ივანე გვინჩიძე, იოსებ გრიშაშვილი, ელენე დონაური, ვ. კუპრაძე, შ. მამალაძე, სერგი ჭილაია, გრიგოლ ბუხნიკაშვილი.
1947 წ. 19 თებერვალი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: როსტომ შადური, გრიგოლ ბუხნიკაშვილი. 4 გვ. 2 ეგზ.
62. ველისციხის სახელმწიფო თეატრის მუშა-მოსამსახურეთა საწარმოო თათბირის ოქმი, კ. მარჯანიშვილის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სალამოს გამართვასთან დაკავშირებით.
1947 წ. 17 მარტი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.
63. რეჟისორ კ. მარჯანიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო კომისიის სხდომის ოქმი. კომისიის წევრები: როსტომ შადური, შალვა დადიანი, სერგი ჭილაია, შალვა ლამბაშიძე, ელენე დონაური, ივანე გვინჩიძე, დიმიტრი არაყიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, შ. მამალაძე, ბესარიონ ულენტი, სერგო გერსამია, გრიგოლ ბუხნიკაშვილი.
1947 წ. 29 მარტი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: როსტომ შადური, გრიგოლ ბუხნიკაშვილი. 2 გვ. 3 ეგზ.
64. რეჟისორ კ. მარჯანიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო კომისიის სხდომის ოქმი. კომისიის წევრები: როსტომ შადური, ვერიკო ანჯაფარიძე, გრიგოლ ბუხნიკაშვილი, ივანე გვინჩიძე, სერგო გერსამია, შალვა დადიანი, ელენე დონაური, აკაკი ვასაძე, შ. მამალაძე, ბესარიონ ულენტი, შალვა ლამბაშიძე, მ. ჩიქობავა.
1947 წ. 11 აპრილი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: როსტომ შადური, გრიგოლ ბუხნიკაშვილი. 2 გვ. 2 ეგზ.
65. რეჟისორ კ. მარჯანიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო კომისიის სხდომის ოქმი. კომისიის წევრები: როსტომ შადური, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, შალვა დადიანი, პავლე კანდელაკი, ივანე გვინჩიძე, ელენე დონაური, იოსებ გრიშაშვილი, შ. მამალაძე, სერგი ჭილაია, შალვა ლამბაშიძე, ბესარიონ ულენტი, გრიგოლ ბუხნიკაშვილი,
1947 წ. 20 მაისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: როსტომ შადური, გრიგოლ ბუხნიკაშვილი. 1 გვ. 2 ეგზ.
66. კ. მარჯანიშვილის დაბადებიდან 90 წლის აღსანიშნავი საიუბილეო სხდომის ოქმი № 1. სხდომას ესწრებოდნენ: თ. ბუაჩიძე, აკაკი დვალიშვილი, დიმიტრი ჯანელიძე, აკაკი ხორავა, არჩილ ჩხარტიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, გრიგოლ ბუხნიკაშვილი, მალიკო მრევლიშვილი, აკაკი ვასაძე, დოდო ანთაძე, პატარაია, დავით მჭედლიძე, ა. ქუთათელაძე, თენგიზ ჯანელიძე.
1962 წ. 10 სექტემბერი. ხელნაწერი. 7 გვ.
67. კ. მარჯანიშვილის დაბადების 90 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო სხდომის ოქმი №2. სხდომას ესწრებოდნენ: თ. ბუაჩიძე, აკ. დვალიშვილი, არჩილ ჩხარტიშვილი, თამაზ ჭელიძე, ოთარ ზაუტაშვილი.

ლი, დიმიტრი ჯანელიძე, აკაკი ხორავა, დიმიტრი ალექსიძე, ვასო გოძიაშვილი, ოთარ ლითანიშვილი, გრიგოლ ბუხნიკაშვილი, პავლე პატარაია, აკაკი ვასაძე, დოდო ანთაძე.

1962 წ. 20 სექტემბერი. ხელნაწერი. 4 გვ.

68. კ. მარჯანიშვილის დაბადებიდან 90 წლის აღსანიშნავი საიუბილეო სხდომის ოქმი № 3. სხდომას ეს-წრებოდნენ: თ. ბუაჩიძე, აკაკი დვალიშვილი, დ. თავაძე, არჩილ ჩიმაკაძე, დიმიტრი ჯანელიძე, აკაკი ხორავა, ბ. გორგაძე, ვასო გოძიაშვილი, არჩილ ჩხარტიშვილი, დიმიტრი ალექსიძე, დავით მჭედლიძე, ალექსანდრე ქუთათელაძე, დოდო ანთაძე, პ. პატარიძე, თენგიზ ჯანელიძე, აკაკი ვასაძე.
- 1962 წ. 25 სექტემბერი. ხელნაწერი. 5 გვ.
69. კ. მარჯანიშვილის დაბადებიდან 90 წლის აღსანიშნავი იუბილეს სხდომის ოქმი № 4. სხდომას ესწრებოდნენ: აკაკი დვალიშვილი, პ. პატარიძე, დიმიტრი ალექსიძე, არჩილ ჩხარტიშვილი, დოდო ანთაძე, გრიგოლ ბუხნიკაშვილი, აკაკი ხორავა, თენგიზ ჯანელიძე, მალიკო მრევლიშვილი.
- 1962 წ. 23 ოქტომბერი. ხელნაწერი. 2 გვ.
70. კ. მარჯანიშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის ოქმი – „კოტე მარჯანიშვილის ცხოვრება და შემოქმედება“. სხდომას ესწრებოდნენ: გრ. ბუხნიკაშვილი, პ. ალვარიძე, ლედი კაპანაძე, ქეთო ჩხიყვაძე, ტ. იაშვილი, ნათელა ლაშხია, მ. გაჩეჩილაძე, ნ. ელიაშვილი, ლ. ლორთქიფანიძე, ლ. გაბრიაძე.
- 1962 წ. 26 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 2 გვ.
71. ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებლის, დიდი ქართველი რეჟისორის კ. მარჯანიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო სხდომის ოქმი.
- 1971 წ. 16 ივლისი. ნაბეჭდი. 4 გვ.
72. კ. მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო კომისიის სხდომის ოქმი. სხდომას ესწრებოდნენ: დ. ძონენიძე, ვ. სირაძე, დ. ჩხიყვაძე, ოთარ თაქთაქიშვილი, დოდო ანთაძე, ირაკლი აბაშიძე, დიმიტრი ალექსიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ეთერ გუგუშვილი, უჩა ჯაფარიძე, ალექსანდრე ქუთათელაძე, ჯუმბერ პატიაშვილი, გ. სალარაძე, არჩილ ჩხარტიშვილი, ჯ. ლომაშვილი, ო. ნოდია.
- 1971 წ. 16 ივლისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს – ე. გუგუშვილი. ქართულ და რუსულ ენებზე. 5 გვ. 4 ეგზ.
73. კ. მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი იუბილეს მომწყობი რესპუბლიკური კომისიის სხდომის ოქმი.
- 1971 წ. 30 დეკემბერი. ნაბეჭდი. 6 გვ.
74. კ. მარჯანიშვილის 100 წლისთავის იუბილეს მომწყობი რესპუბლიკური კომისიის სხდომის ოქმი. სხდომას ესწრებოდნენ: გ. ძონენიძე, ვ. სირაძე, ოთარ თაქთაქიშვილი, აბაშიძე, დიმიტრი ალექსიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ზ. ახვლედიანი, ნ. ბურმისტროვა, ბუხრაშვილი, აკაკი ვასაძე, კ. გარდაფხაძე, ეთერ გუგუშვილი, უჩა ჯაფარიძე, აკაკი დვალიშვილი, სიკო დოლიძე, მ. ქინქლაძე, ალექსანდრე ქუთათელაძე, ეროსი მანჯგალაძე, დავით მჭედლიძე, ჯ. პატიაშვილი, შ. სალარიძე, გ. ხუცმელი, ვ. ჭიაურელი, არჩილ ჩხარტიშვილი, ი. შევარდნაძე, გრიგოლ ბუნიკაშვილი, მ. ცანავა.
- 1971 წ. 30 დეკემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: თავმჯდომარე – გ. ძონენიძე, ე. გუგუშვილი. რუსულ ენაზე. 6 გვ. 2 ეგზ.
75. საქართველოს კულტურის სამინისტროსა და კ. მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის სამუზეუმო-სამეცნიერო საბჭოების გაერთიანებული სხდომის ოქმი, კ. მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის ახალი სტაციონარული ექსპოზიციის მოწყობის შესახებ.
- 1972 წ. 4 აპრილი. ნაბეჭდი. 2 გვ.
76. კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატობის მიმნიჭებელი კომისიის სხდომის ოქმი. სხდომას ესწრებოდნენ: აკაკი დვალიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, ბესარიონ ულენტი, დიმიტრი ჯანელიძე, ვასო გოძიაშვილი, არჩილ ჩხარტიშვილი, დავით ჩხეიძე, გიგა ლორთქიფანიძე, ვასილ კიკნაძე,

ალექსანდრე ქუთათელაძე, ეთერ გუგუშვილი, ალ. წულუკიძე, ეროსი მანჯგალაძე, ნოდარ გურა-ბანიძე, ნინო შვანგირაძე, დოდო ანთაძე, ოთარ ეგაძე, თამაზ ჭილაძე, ე. გოგიაშვილი, თ. მესხი, დ. მჭედლიშვილი.

1972 წ. 21 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს – მდივანი ნ. შვანგირაძე. 3 გვ.

77. I. კ. მარჯანიშვილის მიერ შექმნილი ოქმი, სამხატვრო თეატრში „ჰამლეტის“ (შექსპირი) დადგმასთან დაკავშირებით.
პირი: ვლადიმირ ნემიროვიჩ-დანჩენკო, კონსტანტინ სტანისლავსკი, ალ. სულერუჟიცკი, ვახტანგ მჭედლიშვილი, მ. გრიგორიევი.
7 მარტი. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
II. კ. მარჯანიშვილის მიერ შედგენილი ოქმი, სამხატვრო თეატრში „ჰამლეტის“ (შექსპირი) დადგმაზე მუშაობის შესახებ.
პირი: კ. საპონოვი, კ. სტანისლავსკი, ალ. სულერუჟიცკი, ი. პოლუნოვი. 10, 11 მარტი. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
III. პიესა „ჰამლეტში“ როლების განაწილება. კ. სტანისლავსკის დასთან გასაუბრება.
15 მარტი. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
IV. კ. მარჯანიშვილის მიერ შედგენილი ოქმი, სამხატვრო თეატრში „ჰამლეტის“ (შექსპირი) სპექტაკლის დეკორაციასა და კოსტიუმებზე მუშაობის შესახებ.
22 მარტი, 1 აპრილი. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ. აკინძული.

სესიები

78. კ. მარჯანიშვილისადმი მიძღვნილი საქართველოს თეატრალური საზოგადოების პლენური და სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის სამეცნიერო სესია.
1947 წ. 26, 27 მაისი. ნაბეჭდი. ჩასწორებული გრ. ბუხნიკაშვილის მიერ. 3 გვ.
79. კ. მარჯანიშვილის 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით გამართული სესია.
პირი: დიმიტრი ჯანელიძე, ალ. ფევრალსკი, გ. ციციშვილი, ეთერ გუგუშვილი, ს. ციმბალი, მ. იოსიპენკო, ლ. ძენე, დიმიტრი ალექსიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ელენე ახვლედიანი, კარლო გოგოძე, ვასო გოძიაშვილი, ლადო გუდიაშვილი, აკაკი ვასაძე, თამარ ვახვახიშვილი, კარლო კალაძე, კოტე მარჯანიშვილი (კოტე მარჯანიშვილის შვილი), კუკური პატარიძე, სერგი ჭილაია, ი. თავაძე.
1972 წ. 23 ნოემბერი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.

ხელშეკრულება

80. თბილისის სახელმწიფო თეატრის დირექტორისა და კ. მარჯანიშვილს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულება, სპექტაკლ „ვილპელმ ტელის“ (შილერი) დადგმასთან დაკავშირებით.
1931 წ. 18 აგვისტო. ხელნაწერი. ფანქარი. ხელს აწერს თეატრის დირექტორი – კ. მარჯანიშვილი. 2 გვ.

სტენოგრაფიული ანგარიშები

81. კ. მარჯანიშვილის სამოქალაქო პანაშვილის ცერემონიალის სტენოგრაფიული ანგარიში, გაიმართა მოსკოვის მცირე თეატრში.
პირი: ანატოლი ლუნაჩარსკი, ანატოლი ტაიროვი, მიხელ ფრანციევიჩ ლენინი, ვსევოლოდ ვიშნევსკი, შალვა ღამბაშვილე, პ. ნოვიცკი, ს. ალექსიძე, ვერხოვსკი.
1933 წ. 23 აპრილი. ნაბეჭდი. 18 გვ.
82. მოსკოვში გამართული კ. მარჯანიშვილადმი მიძღვნილი საღამოს სტენოგრაფიული ანგარიში.
1948 წ. 11 ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 7 გვ.

83. პირველი ქართული საბჭოთა სპექტაკლის „ცხვრის წყაროს“ (რეჟისორი კ. მარჯანიშვილი) 30 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში.
1952 წ. 1 დეკემბერი. ნაბეჭდი. აკინძული. 75 გვ.
84. კ. მარჯანიშვილისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამოს სტენოგრაფიული ანგარიში. თავმჯდომარე – ეთერ გუგუშვილი, მონანილეობდნენ: ეკატერინა სატინა, რატოვი, შვედოვი.
პირი: უშანგი ჩხეიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ნ. ზორინი, სმირნოვა, ბელეცკაია, სანოვი, რატოვი, ვიქტოროვა, დ. შვედოვი, კონსტანტინ სტანისლავსკი, მედვედევა.
1955 წ. 23 ნოემბერი. მოსკოვი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 14 გვ.
85. კ. მარჯანიშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს სტენოგრაფიული ანგარიში.
1962 წ. 31 მაისი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 50 გვ.
86. უკრაინის თეატრალური საზოგადოების თაოსნობით, კიევში გამართული სპექტაკლის „ფუენტე ოვენუნას“ („ცხვრის წყარო“. ლოპე დე ვეგა) სტენოგრამა.
1969 წ. 15 მაისი. ნებეჭდი. რუსულ და უკრაინულ ენებზე. 57 გვ.
87. საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ყვარლის კ. მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის სამუზეუ-მო-სამეცნიერო საბჭოების გაერთიანებული გაფართოებული სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში.
1972 წ. 4 აპრილი. ნაბეჭდი. 38 გვ.
88. სტენოგრაფიული ანგარიში – „კოტე მარჯანიშვილის მემკვიდრეობის შესწავლისთვის“. განხილულია სპექტაკლი „1 მაისი“.
პირი: პავლე ხუჭუა, ბოკერია, მუსორგსკი, აკაკი ფალავა, ბადრიძე, ანდლულაძე, ცირლილაძე, ლილი გე-გელაშვილი, ინოზენცევი, ნინო შვანგირაძე, ლადო გეგეტკური, ვახტანგ ანჯაფარიძე, მლვდელაძე, ლი ვივიენი, ვერა კომისარუევსკაია, ოხლოპკოვი, პოპოვი, ლომონოვი, გიორგი ტოვსტონოვოვი, სანდრო უორულიანი, ვეჩე ჯიქია, იონა ვაკელი, უშანგი ჩხეიძე, გიორგი შავგულიძე, ბაოლო იაშვილი, ნიკო გო-ძიაშვილი, ალექსანდრე იმედაშვილი, ვახტანგ მჭედლიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, შალვა დადიანი, ვლადიმირ ნემიროვიჩ-დანჩენკო, ტ. შარაშიძე, ი. თუმანიშვილი, აღსაბაძე, ვასო აბაშიძე, რ. აბაშიძე, ნ. დოლიძე, აკაკი ხორავა, კ. სირბილაძე, გველესიანი, ივ. ოგანეზოვი, შალვა თაქთაქიშვილი, ანატოლი ლუნარსკი, დოდო ანთაძე, კარლო კალაძე, ელენე დონაური, კ. მამულაიშვილი, ს. ცხომელიძე, ან-ტონ ბალანჩივაძე, თამარ ვახვახიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, შალვა ლამბაშიძე, ნ. ფარქოსაძე, ქ. ბოკე-რია, ს. ჩარქვიანი, მ. ქუთათელაძე, თ. ქუთათელაძე, სერგეევი, ელ. ხარაბაძე, შანიძე, მელიტონ ბალან-ჩივაძე, პავლე კანდელაძე, მიხეილ ჭიაურელი, ლ. ლამბაშიძე, მიხეილ ქორელი, ნინო ჩხეიძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, გ. ძაკობია, ხ. ხოფერია, იოსებ გრიშაშვილი, დ. ნაცვლიშვილი (დონი), შაფათავა, უჩა-ნეიშვილი, ბ. ჯაიანი, გ. გამყრელიძე, ალექსანდრე ახმეტელი, გრ. მიქაძე, ლ. ვაჩინაძე, ლ. ციცაგი, გ. ბახ-ტაძე, კოტე მიქაბერიძე, კვასხვაძე, თამარ ჭავჭავაძე, გიორგი დავითაშვილი, გ. კუპრაშვილი, ირაკლი გამრეკელი, ე. ჭავჭავაძე, სუხოდოლსკი, ი. აბაშიძე, პეტრე ოცხელი, დეისაძე, აკაკი კვანტალიანი. უთარილო. ნაბეჭდი. 77 გვ.

ტეატრ-ფინანსური მასალა

ხარჯთაღიცხვები, უფყისი, ძვითრები, პალანსი

89. სპექტაკლ „ოიდიპოს მეფის“ ხარჯთაღრიცხვა.
1912 წ. რუსულ ენაზე. შავი მელანი. 6 გვ.
90. სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტის მასწავლებელთა სალექციო პონორარის უწყისი. ინსტიტუტის ხელმძღვანელი – კ. მარჯანიშვილი.
1923 წ. 8 ნოემბერი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: კოტე მარჯანიშვილი, აკაკი ფალავა, გ. მიქელაძე. ქარ-თულ და რუსულ ენებზე. 3 გვ.

91. კ. მარჯანიშვილის სახელზე გაცემული „კვიტანცია“ (ქვითარი), თანხის (9.50 მან) გაცემის შესახებ.
1924 წ. 26 მარტი. ბლანკი. ხელით შევსებული. შავი მელანი. 1 ც.
92. კ. მარჯანიშვილის ჩეკების ნიგნაკი (ნახევარი გამოყენებულია).
1927-1930 წწ. ბლანკი. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. მელანი. 1 ც.
93. კ. მარჯანიშვილის მიმდინარე ანგარიშების ნიგნაკი.
1929-1930 წწ. ბლანკი. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. მწვანე, ლურჯი მელანი. ფანქარი. 1 ც.
94. სახელმწიფო ქართული დრამის თეატრის ბალანსი. თეატრის ხელმძღვანელი – კ. მარჯანიშვილი.
1930 წ. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 59 გვ.
95. საქართველოს სათეატრო მუზეუმში გამართული გამოფენის – „კოტე მარჯანიშვილის ცხოვრება და შემოქმედება“ – ხარჯთაღრიცხვა.
1947 წ. 3 აპრილი. ხელნაწერი. მელანი. ხელს აწერს დირექტორი – გრიგოლ ბუხნიკაშვილი. 1 გვ.
96. კ. მარჯანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებული გამოფენის ხარჯთაღრიცხვა (გაიმართა თბილისის სამხატვრო გალერეაში).
1962 წ. 29 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს – გრიგოლ ბუხნიკაშვილი. 1 გვ.
97. კ. მარჯანიშვილის მიერ ჩამოწერილი თბილისის ოპერის თეატრში გამართული საოპერო სპექტაკლების ხარჯთაღრიცხვა.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

ადრესი

98. სომხეთის თეატრალური საზოგადოების მისალოცი ადრესი, კოტე მარჯანიშვილის დაბადებიდან 90 წლისთვისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს აღნიშვნასთან დაკავშირებით.
1962 წ. 29 ოქტომბერი. ხელნაწერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს – ვ. ვართანიანი. სომხურ და რუსულ ენებზე. 4 გვ.

„თავისუფალი თეატრის“ ფარდის მასალები

99. დოკუმენტაცია „თავისუფალი თეატრის“ ფარდის მოსკოვის მიერ საქართველოს თეატრალური მუზეუმისთვის გადაცემის შესახებ.
- I. საქართველოს სათეატრო მუზეუმის დირექტორის დავით არსენიშვილის მიმართვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისადმი შუამდგომლობაზე, ხელოვნების მთავარი სამმართველოსა და მოსკოვის საბჭოს წინაშე, კოტე მარჯანიშვილის მიერ ჩამოყალიბებული „თავისუფალი თეატრის“ ფარდის (მხატვარი სომოვი) საქართველოს სათეატრო მუზეუმისთვის გადაცემასთან დაკავშირებით.
უთარილო. ქ. ტიფლისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
- II. სათეატრო მუზეუმის დირექტორის დ. არსენიშვილის მიმართვა სსრ კავშირის ცენტრალური კომიტეტისადმი, კ. მარჯანიშვილის მიერ მოსკოვში დაარსებული „თავისუფალი თეატრის“ ფარდის (კოტე მარჯანიშვილის იდეისა და ჩანაფიქრის მიხედვით შექმნილი და მხატვარ სომოვის მიერ შესრულებული), რომელიც ინახება მოსკოვის სანახაობათა სამმართველოს საწყობში, შესწავლის მიზნით საქართველოს სათეატრო მუზეუმისთვის გადაცემასთან დაკავშირებით.
1930 წ. ქ. ტფლისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
- III. მოსკოვის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მხარდასაჭერი მიმართვა, მოსკოვის სანახაობათა წარმოების სამმართველოსადმი, კ. მარჯანიშვილის მიერ დაარსებული „თავისუფალი თეატრის“ ფარდის საქართველოს სათეატრო მუზეუმისთვის გადაცემასთან დაკავშირებით.
1930 წ. 19 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

IV. მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის კოლოსკოვის მიმართვა მოსკოვის სანახაობათა წარმოების სამმართველოსადმი, კ. მარჯანიშვილის მიერ ჩამოყალიბებული „თავისუფალი თეატრის“ ფარდის, რომელიც მხატვარ სომოვის მიერ არის შესრულებული, საქართველოს სათეატრო მუზეუმისთვის გადაცემასთან დაკავშირებით.

1930 წ. თებერვალი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

V. მოსკოვის სახალხო განათლების გაერთიანების, მოსკოვის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაცემული ცნობა, „თავისუფალი თეატრის“ ფარდის საქართველოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით.

1930 წ. 25 იანვარი. ნაბეჭდი. ხელს აწერს – ვ. კარავაიკოვი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

VI. საქართველოს სათეატრო მუზეუმის დირექციის თხოვნა მოსკოვის საბჭოსადმი, „თავისუფალი თეატრის“ ფარდის საქართველოს სათეატრო მუზეუმისთვის გადმოცემის შესახებ.

1930 წ. 25 იანვარი. ქ. ტფილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

VII. დაგით არსენიშვილის მიმართვა სსრ კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადმი, „თავისუფალი თეატრის“ ფარდის საქართველოს თეატრალური მუზეუმისთვის გადასაცემად 7 წევრისგან შემდგარი კომისიის ნაცვლად, მხოლოდ 2 წევრის და თან არაკომპეტენტურ პირთა შეყვანასთან დაკავშირებით.

პირი: ვლ. ნემირვიჩ-დანჩენკო, პ.ს. კოგანი, ა.ი. ტაიროვი, დ.ი. არსენიშვილი, ვ. ვლადიმიროვი, ევსეი ლიუბიმოვ-ლანსკო, გლაზუნოვი, ს. ამაღლობელი, ა. ენუქიძე, ფ.ფ. რასკოლნიკოვი, ხერსონსკაია.

1930 წ. 5 თებერვალი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

VIII. საქართველოს სათეატრო მუზეუმის დირექტორის დ. არსენიშვილის კატეგორიული მიმართვა მოსკოვის საბჭოსადმი, მოსკოვის სანახაობითი წარმოებების სამმართველოს მმართველის ამხ. მოროზოვის განცხადებაზე, „თავისუფალი თეატრის“ ფარდის საქართველოსთვის გადაცემაზე უარის გამოცხადების შესახებ. პირი: ევსეი ლიუბიმოვ-ლანსკო, კრიაზევი.

1930 წ. 11 თებერვალი. ქ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

IX. მოსკოვის პროფესიული კავშირის თეატრის თანამშრომლების: ვ.ი. ვენინის, გ.ვ. ფილიპოვის, ფ.პ. პავლოვის, ლ. ა. ჟილეინისა და საქართველოს სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის სამეცნიერო ნაწილის დირექტორის დ. ა. არსენიშვილის თანდასწრებით, მუზეუმის ხელმძღვანელობის მოწმობის საფუძველზე „თავისუფალი თეატრის“ ფარდის დათვალიერების, შეფასებისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისთვის გადაცემასთან დაკავშირებით.

1930 წ. თებერვალი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: ვენინი, ფილიპოვი, ჟილეინი, პავლოვი, დ. არსენიშვილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

X. საბჭოთა კავშირის ამიერკავკასიის წარმომადგენლობის მიერ გაცემული ცნობა, მოსკოვის ყაზანის რეინიგზის სადგურის უფროსისადმი, საქართველოს სათეატრო მუზეუმის დირექტორ დ. არსენიშვილის მიერ ძვირფასი ისტორიული ნივთის („თავისუფალი თეატრის“ ფარდი) მატარებლის ვაგონში, ბარგის სახით საქართველოში წამოღებასთან დაკავშირებით.

1930 წ. 18 თებერვალი. ნაბეჭდი. ხელს აწერს ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილის გამგე – ტუსკია. რუსულ ენაზე. 1 გვ.

XI. საქართველოს სათეატრო მუზეუმის დირექტორ დ. არსენიშვილის შუამდგომლობის წერილი განათლების სახალხო კომისარიატისადმი, კ. მარჯანიშვილისაგან 3000 გამოჩენილ მხატვართა დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზების, კ. მარჯანიშვილის 40 წლის აღსანიშნავ საღამოზე გამოსაფენად და მოსამზადებლად თანხის გამოყოფის შესახებ. პირი: რერიხი, ბაქსტი, ბენუა, სომოვი, საპონოვი, უშინი, გორდონ კრეგი. უთარილო. ნაბეჭდი. 1 გვ.

1930 წ. ნაბეჭდი. რუსულ და ქართულ ენებზე. 11 გვ.

100. მ. მაცაბერიძის მიერ გამოქვეყნებული სტატია, კ. მარჯანიშვილის მიერ მოსკოვში დაარსებული „თავისუფალი თეატრის“ ფარდის შესახებ (გამოქვეყნდა უურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“ სახელწოდებით – „უცნობი მასალები მოსკოვის „თავისუფალი თეატრის“ ფარდის შესახებ“).

უთარილო. ნაბეჭდი. ასლი. 9 გვ.

101. ნონა ელიზბარაშვილისა და ზინაიდა დარჩაშვილის სტატია მოსკოვის „თავისუფალი თეატრის“ ფარდის შესახებ (მიეძღვნა ალ. სავინოვის ხსოვნას).

უთარილო. ნაბეჭდი. ასლი. 2 გვ.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

პიესები

102. კოტე მარჯანიშვილის პიესა „Чижик в миноре“ („ჭივჭავი მინორში“). 4 მოქმედება.
1910 წ. 27 ივნისი. ავტოგრაფი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 74 გვ.
103. სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ (კოტე მარჯანიშვილმა 1910 წლის მარტიდან 1913 წლის იანვრამდე მოსკოვის სამხატვრო თეატრში (MXT) სამ თეატრალურ სეზონში მხოლოდ 5 სპექტაკლი დადგა).
1913 წ. 28 მარტი. მოსკოვი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 რვეული. 83 გვ.
104. კ. მარჯანიშვილის პიესა – „თამარ მეფე“.
უთარილო. ავტოგრაფი. შავი მელანი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 40 გვ.
105. კ. მარჯანიშვილის პიესა „ბერიოზინკი“.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 82 გვ.
106. კ. მარჯანიშვილის პიესა – „ზღაპარი“.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. 10 გვ.
107. კ. მარჯანიშვილის დრამატული პიესა “ტიბერიალის ტბა“. ფრაგმენტი.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 9 გვ.
108. კ. მარჯანიშვილის პიესა – „შობის ღამე“.
უთარილო. ავტოგრაფი. შავი მელანი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 33 გვ.
109. კ. მარჯანიშვილის პიესა – „ძველი ცაცხვის ზღაპარი“.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელით ჩასწორებული. 141 გვ.
110. კ. მარჯანიშვილის პიესა – „გულნარა“.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელისთ ჩასწორებული. 32 გვ.
111. კ. მარჯანიშვილის რეჟისორული მონტაჟი პიესა „ყაჩალებისა“ (ფრიდრიხ შილერი). წიგნიდან ამობეჭდილ ტექსტებზე დატანილია კ. მარჯანიშვილის ჩასწორებები.
უთარილო. ავტოგრაფი. სტამბური. ფანქარი. რუსულ ენაზე. 73 გვ.
112. პიესა – „მშენებელი სოლნესი“ (პ. იბსენი). დრამა 3 მოქმედებად. სარეჟისორო ეგზემპლარი. სამუშაო ვარიანტი. ფანქრით ჩასწორებული.
უთარილო. ნაბეჭდი. კ. მარჯანიშვილის ავტოგრაფით. რუსულ ენაზე. აკინძული წიგნის სახით. 31 გვ.
113. კ. მარჯანიშვილის ინტერმედია – „ანათე, ვარსკვლავო“.
უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 4გვ.
114. კ. მარჯანიშვილის პიესა – „ნიჭი და ნიღაბი“.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. არასრული. 18 გვ.

სცენარები, ლიპრეტო

115. კ. მარჯანიშვილის სცენარი ქართული ხალხური ზღაპრის მიხედვით – „აბესალომ და ეთერი“.
1925 წ. 8 მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 29 გვ.

116. კ. მარჯანიშვილის ერთ-ერთი სცენარის სქემა (არასრული).
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. 3 გვ.
117. კ. მარჯანიშვილის კინოსცენარი – „A-ზოუზ-ზო“.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 28 გვ.
118. კ. მარჯანიშვილის კინოსცენარი – „მისი თვალები“. | ნაწილი.
უთარილო. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 24 გვ.
119. კ. მარჯანიშვილის მიერ დაწერილი სცენარი უცნობი ფილმისთვის, რომლის გადაღებაც ვერ მოახერხა
და სურვილი განუხორციელებელი დარჩა. პირველ გვერდზე დ. ჩხეიძის მინაწერით ამ პრობლემასთან
დაკავშირებით.
უთარილო. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. 43 გვ.
120. კ. მარჯანიშვილის კინოსცენარი – „როსტევანი და ქეთევანი“ (კინოლეგენდა).
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 41 გვ.
121. ტექნიკური სცენარი სპექტაკლისთვის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ (ერნსტ ტოლერი).
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 21 გვ.
122. კ. მარჯანიშვილის ლიბრეტო – „მზეთამზე“. პანტომიმა.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 13 გვ.

სარეზისორო და სამონტაჟო ფურცლები

123. კოტე მარჯანიშვილის მიერ მომზადებული „არსენას ლექსის“ მონტაჟი. ჩართულია წიგნიდან ამოჭ-
რილი ტექსტები.
უთარილო. სტამბური. ხელნაწერი. ფანქარი. 21 ვ.
124. კ. მარჯანიშვილის რეჟისორული მონტაჟი: ერნსტ ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ (ავტორი-
სეული სქემა).
უთარილო. ხელნაწერი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 8 გვ.
125. კოტე მარჯანიშვილის რეჟისორული მონტაჟი: ფრიდრიხ შილერის „დონ კარლოსი“ – დრამატული
პოემა.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. აკინძული წიგნის სახით. 176 გვ.

მოთხოვები

126. კოტე მარჯანიშვილის მოთხოვება – „რქოსანი მატარებელი“.
უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფანქარი. არასრული. 4 გვ.
127. კ. მარჯანიშვილის მოთხოვება – „არიშა“.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. ფანქარი. რუსულ ენაზე. არასრული. 9 გვ.
128. კ. მარჯანიშვილის მოთხოვება – „ბებია“.
უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 14 გვ.

ოპერატა

129. კოტე მარჯანიშვილის ოპერეტა – „შავი პრინცი“. 3 მოქმედებად. უთარილო. ხელნაწერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 63 გვ.
130. კ. მარჯანიშვილის ოპერეტა – „ოქროს ევა“. 3 მოქმ. უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 34-ე გვერდიდან. კ. მარჯანიშვილის ხელნაწერი. 78 გვ.
131. კ. მარჯანიშვილის ოპერეტა – „სულის სურდო“. უთარილო. ხელნაწერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელით ჩასწორებული. არასრული. 20 გვ.
132. იოპან შტრაუსის ოპერეტა – „მფრინავი ღამურა“, კ. მარჯანიშვილის ჩასწორებებით. უთარილო. ნაბეჭდი. ჩასწორებებით. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 81 გვ.
133. კ. მარჯანიშვილის მიერ გადაწერილი ფრაგმენტი, უზეირ ჰაჯიბეკოვის ოპერეტა „არშინ მალ ალან“. უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

სოცეტი, პოემა, ტრაგედია, პელეტრისტული ნაწარმოები

134. ვალერიან გაფრინდაშვილის სონეტი კ. მარჯანიშვილისადმი მიძღვნილი, წარმოთქმული „ქიმერიონში“ კ. მარჯანიშვილის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე. 1931 წ. 2 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
135. კ. მარჯანიშვილის დრამატული პოემა – „მკვდართა კუნძული“. 4 მოქმ. 1910 წ. 3 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ჩასწორებებით. 92 გვ.
136. კ. მარჯანიშვილის ტრაგედია „ბაგრატოვანთა გაზაფხული“ საქართველოს ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით. უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. არასრული. რუსულ ენაზე. 21 გვ.
137. კ. მარჯანიშვილის ბელეტრისტული ნაწარმოები – „მისი დღიური“. უთარილო. ავტოგრაფი. შავი მელანი. ფანქარი. არასრული. 13 გვ.

როლების განაწილება

138. ერნსტ ტოლერი – „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, კოტე მარჯანიშვილის მიერ როლების განაწილება, სარეჟისორო ექსპლიკაციები. 1928 წ. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
139. კ. მარჯანიშვილის მიერ ჩანერილი როლების განაწილება სპექტაკლებში – „ცხვრის წყარო“, „ჰამლეტი“ და ფილმში „სამანიშვილის დედინაცვალი“. უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
140. კ. მარჯანიშვილის მიერ ჩანერილი როლების განაწილება სპექტაკლებში – „ურიელ აკოსტა“, „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“. უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
141. კ. მარჯანიშვილის მიერ ჩანერილი როლების განაწილება სპექტაკლში – „შიში“. უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

142. კ. მარჯანიშვილის მიერ ჩაწერილი როლების განაწილება სპექტაკლში – „ხატიჯე“. უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
143. კ. მარჯანიშვილის მიერ ჩაწერილი როლების განაწილება სპექტაკლში – „როგორ“. უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
144. კ. მარჯანიშვილის მიერ ჩაწერილი როლების განაწილება სპექტაკლში – „ყვარყვარე თუთაბერი“. უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 1 ც.

რეპერტუარისა და სარეპერტუარო დღიურების ჩანაცერები

145. თბილისის რუსული დრამის თეატრის მასალები. ხელმძღვანელი – კოტე მარჯანიშვილი. I. რეპერტუარი, II. დასის შემადგენლობა.
1922 წ. ხელნაწერი. წითელი და ლურჯი მელანი. რუსულ ენაზე. 6 გვ.
146. ქართული სახელმწიფო დრამის თეატრი კ. მარჯანიშვილის ხელიძღვანელობით. სარეპერტუარო დღიური. 1930-1931 წლების სეზონი (სპექტაკლები – „ფირალები“, „როგორ“, „ცხვრის წყარო“). ჩანაწერები შესრულებულია არჩილ ჩხარტიშვილის მიერ.
1930-1931 წლების სეზონი. ხელნაწერი. ფანქარი. დაზიანებული. 50 გვ.
147. მასალები კ. მარჯანიშვილის ლენინგრადში მუშაობის შესახებ. 1916-1918 და 1920-1922 წლები. შედგენილი გ. იორდანიშვილის მიერ.
1947 წ. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 59 გვ.
148. კ. მარჯანიშვილის მიერ განხორციელებული სპექტაკლები შ. რუსთაველის სახელობის თეატრში 1922-26 წლები. რეპეტიციებისა და წარმოდგენების დღიურების მიხედვით შედგენილი 6. შვანგირაძის მიერ.
1959 წ. თბილისი. ნაბეჭდი. 216 გვ.

სხვადასხვა ჩანაცერები

149. კ. მარჯანიშვილის ჩანაწერები სამხატვრო თეატრში სპექტაკლ „ჰამლეტზე“ მუშაობის დროს.
1910 წ. ავტოგრაფი. ფოტოასლი. რუსულ ენაზე. 22 გვ.
150. კ. მარჯანიშვილის ხელნაწერი ქართული დრამის თეატრში სპექტაკლ „ფუენტე ოვეხუნას“ დადგმის შესახებ.
1922 წ. 25 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
151. კ. მარჯანიშვილის ჩანაწერები, 1931-1932 წლების სეზონის ჩანაწერები.
1931-1932 წწ. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 73 გვ.
152. კ. მარჯანიშვილის ჩანაწერები II სახელმწიფო დრამის თეატრის რეპერტუართან დაკავშირებით.
1932 წ. ხელნაწერი. ფანქარი. მელანი. რუსულ ენაზე. რვეული. 140 გვ.
153. საალფავიტე წიგნაკი კ. მარჯანიშვილის მიერ ჩაწერილი მისამართებით.
უთარილო. ფანქარი. რუსულ ენაზე. 50 გვ.
154. კ. მარჯანიშვილის ჩანაწერები, თეატრალური ხელოვნების შესახებ. (თეზისები).
